ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 482423216**
თარიღი:**19/08/2024**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 დეკემბრის №31 1782 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 დეკემბრის №31 1782 ბრძანებაში და ამ ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ზურაბ ჯანელიძე - შ.პ.ს. ,,ჰერბიას" დირექტორი;

2. ლუკა ადეიშვილი - მოსახლეობის წარმომადგენელი;

3. ედიშერ გედენიძე - შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წყალტუბოს სერვისცენტრის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი;

4. ლალი გრიგოლავა - არასამთავრობო ორგანიზაცია წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირის თავმჯდომარე;

5. ნიკოლოზ გურეშიძე - შ.პ.ს. ,,მინერალის" დირექტორი;

6. მარიამ კუჭავა - მოსახლეობის წარმომადგენელი;

7. დავით მესხი - შ.პ.ს. ,,სანატორიუმ წყალტუბოს" მთავარი ფინანსური მენეჯერი;

8. მურად სინაურიძე - შ.პ.ს. ,,არგოს" დირექტორი;

9. თეიმურაზ ფირცხალავა - საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენელი;

10. მანანა ჩაკვეტაძე - მოსახლეობის წარმომადგენელი;

11. მანანა ჩიხლაძე - ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

12. მარინა ჭავჭანიძე - მოსახლეობის წარმომადგენელი;

13. ლეილა აშორდია - ქალთა ასოციაციის ,,ვაკეთოთ ერთად" თავმჯდომარე."

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი; ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი